პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ ნოემბერი, 2019 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N380-ის მიმდებარედ მდებარე 565,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.35.25.275).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების შპს ,,ირინა”-ს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება ამ ქონების შპს „ირინა”-ს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა;

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (რ. ბოლქვაძე) უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული უძრავ ქონებებზე საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული უძრავი ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ"
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 31 ოქტომბრის №01-01-10/5381 (#28025/25) წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინასთა და ეკონომიკის სამინისტრომ რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმში, მდინარე ჭოროხის სანაპიროდან მარჯვენა მხარეს, მიმდინარეობს „ჭოროხის გზის" (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის მშენებლობა, რომლის პროექტის არეალში მოქცეულია შპს „ირინას" საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირის N380-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილი (ს/კ 05.35.25.119). შპს „ირინას" საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 05.35.25.119) მონაცვლეობის მიზნით, მოთხოვნილია ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N380-ის მიმდებარედ მდებარე 565,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.35.25.275) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთ აღნიშნული ქონება საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას, შემდგომში შპს „ირინას" საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 05.35.25.119) მონაცვლეობის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N380-ის მიმდებარედ მდებარე 565,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.35.25.275) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში შპს „ირინას" საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 05.35.25.119) მონაცვლეობის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი **დავით კოპინაძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

5381-01-01-10-2-201910311729

N 01-01-10/5381
31/10/2019

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმში, მდინარე ჭოროხის სანაპიროდან მარჯვენა მხარეს, მიმდინარეობს „ჭოროხის გზის“ (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის მშენებლობა, რომლის პროექტის არეალში მოქცეულია შპს „ირინას“ საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირის N380-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილი (ს/კ 05.35.25.119).

ასევე გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის 24 ოქტომბრის N01-01-3/356 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის N380-ის მიმდებარედ არსებული 565 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია, ასევე თქვენი 2019 წლის 24 ივლისის N25/17052 წერილის გათვალისწინებით სამინისტროს მიერ დაგეგმილია აღნიშნული 565 კვ.მ მიწის ნაკვეთის და შპს „ირინას“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცვლეობა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, უძრავი ქონების მონაცვლეობის მიზნით, გთხოვთ განახორციელოთ ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირის N380-ის მიმდებარედ არსებული 565 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.35.25.275) მუნიციპალურ საკუთრებად აღრიცხვისთვის საჭირო აუცილებელი პროცედურები, შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.

დანართი: „4“ ფურცელი

პატივისცემით,

თინათინ ზოიძე

მინისტრის მოადგილე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/26318
06/11/2019

26318-25-2-201911061619

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი
დუგლაძეს

ასლი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა
და ეკონომიკის სამინისტროს

ბატონო გიორგი,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს წარმოდგენილი N01-01-10/5381 (N28025/25) წერილით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ითხოვს განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N380-ის მიმდებარედ მდებარე 565,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.35.25.275) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის პროცედურები, შემდგომში მითითებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადასაცემად, ,,ჭოროხის გზის" (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი) საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის არეალში მოქცეულ, შპს ,,ირინას" საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 05.35.25.119) მონაცვლეობის მიზნით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ შემდგომში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოსცეთ ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N380-ის მიმდებარედ მდებარე 565,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.35.25.275).

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა კომახიძე

ლ. კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

KA021761134587219

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/65247

08 / ნოემბერი / 2019 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

თქვენს 06.11.2019 წ. N25/26318 წერილთან დაკავშირებით, გიგზავნით „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 7 ნოემბრის № 1/1-5848 ბრძანებას.

გაცნობებთ, რომ სააგენტოში არსებული ინფორმაციის თანახმად N05.35.25.275 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს კვეთს ენერგეტიკის ხაზოვანი ნაგებობა, ამასთან მიწის ნაკვეთი მდებარეობს საავტომობილო გზისა და სასმელი წყლის ჭაბურღილის მიმდებარედ, რომელზეც გაცემულია ლიცენზია და აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში პირობები უნდა აკმაყოფილებდეს „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის, მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე

KA021793610749819

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-5848 07 / ნოემბერი / 2019 წ.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 113-ე მუხლის, „სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 391 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 06.11.2019 წ. N25/26318, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 31.10.2019წ. N01-01-10/5381 წერილებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის 07.11.2019წ. N115703, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 07.11.2019წ. N115439 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გადაეცეს საკუთრებაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით, ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N380-ის მიმდებარედ არსებული 565.00კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.35.25.275).
2. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქ. №2) ბრძანების გამოცემიდან 1 თვის ვადაში და შემდგომ სასამართლოში.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღეს.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.35.25.275

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019941063 - 13/11/2019 10:15:59

მომზადების თარიღი
13/11/2019 17:58:53

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ბათუმი			
05	**35**	**25**	**275**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 565.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:

მისამართი: ქალაქი ბათუმი , გამზირი ფრიდონ ხალვაში , N 380 მიმდებარედ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019941063 , თარიღი 13/11/2019 10:15:59
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/11/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-5848 , დამოწმების თარიღი:07/11/2019 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:245576826

მესაკუთრე:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge